Aspect of Medieval Ideological-Political Discourse (King Deification or Theosis?) in Georgian Historical Literature

შუა საუკუნეების იდეურ-პოლიტიკური დისკურსის (მეფის გაღმერთება თუ განღმრთობა?) ასპექტი ქართულ საისტორიო მწერლობაში

Ana Letodiani;
PhD, Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature; Scientific worker
(Tbilisi, Georgia)

ანა ლეთოდიანი
ფილოლოგიის დოქტორი; თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ასისტენტ-პროფესორი;
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი
(თბილისი, საქართველო)

Abstract:

Idea of the highest secular power equality with the divine has existed from the ancient time. King was regarded as a holy institute belonging to the divine sphere.

Royal power was regarded as Lord's anointed in Georgian reality.

The idea of anointment of the royals by Lord was reflected in the stories about Queen Tamar as well.

In the above-mentioned context, we would like to focus attention on two fragments from the "Histories and Eulogies of the Sovereigns". "… Thus, about Tamar, three time desired and elevated by Trinity as the fourth, who became the divine, of the kings…" then Nebuchadnezzar saw one of the three as fourth with three children, now, again, Tamar can be regarded as the fourth with the Trinity, equalized with them and elevated to them…"

We can see similar expressions and addresses to Tamar in the works of historians, though the offered citations are significant in the sense that based on them, in Georgian science there was adopted the view about deification of Queen Tamar, her acclamation as the fourth member of Trinity. Many scientists have considered this issue. Most of them regard acclamation of Tamar as the divine, "forth hypostasis of Trinity" as undoubted fact. But some researchers do not share this view.

We cannot accept the views of number of some scientists about acclamation of Tamar as "divine by nature".

In our opinion, words of unknown chronicler does not mean that Tamar was acclaimed as divine by nature, "fourth hypostasis of Trinity". Here is implied that Queen Tamar was elevated by Trinity to equal position (i.e., due to her worthy reign and, hence, holiness) as the "fourth", as saint; and this is due to her holiness, she is regarded as "four", equalized and elevated (to Trinity).

In Georgia, according to Georgian traditions, the king was regarded as Lord's anointed, but he has never been deified. Assumably, they clearly understood Christian teaching about "deification by nature" and "deification by anointment" and provided and analyzed citations from Queen Tamar's Chronicler apparently demonstrate this.

Keywords: King Deification, Theosis, Medieval Ideological-Political Discourse, Georgian Historical Literature, Queen Tamar

საკვანძო სიტყვები: მეფის გაღმერთება, თეოზისი, შუა საუკუნეების იდეოლოგიურ-პოლიტიკური დისკურსი, ქართული ისტორიული ჟანრის ლიტერატურა, თამარ მეფე

უმაღლესი საერო ხელისუფლების ღვთისსწორობის იდეა უძველესი დროიდან არსებობდა. მეფობა გაიაზრებოდა წმინდა ინსტიტუციად, რომელიც ღვთაებრივის სფეროს განეკუთვნებოდა.

ძველ აღმოსავლეთში მეფის ხელისუფლებას ღვთაების მეფობის შესახებ მითოსურ კონცეფციასთან აკავშირებდნენ, რაც იმ დროის სხვადასხვა კულტურის საერთო მახასიათებელია. მითოსური აღქმის თანახმად, მეფე კულტურული გმირი, წმინდა მმართველი იყო, რადგან მას ღვთაებისაგან მიემადლებოდა გარკვეული ფუნქციები, იგი წმინდა ნების გამტარებლად მიიჩნეოდა (Энциклопедия Символы и Знаки, 2007-2023, https://sigils.ru) მეფის ტიტული მისი მფლობელისათვის ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავლობას გულისხმობდა. მას ევალებოდა ქვეყანაში: მართლმსაჯულების, გამარჯვების და მშვიდობის, ასევე ადამიანების, ნიადაგის და ცხოველების ნაყოფიერების უზრუნველყოფა (შეგვიძლია მაგალითად დავასახელოთ: ეგვიპტე, ბაბილონი, მესოპოტამია, ჩინეთი, იაპონია).

მოგვიანებით, მონარქთა გაღმერთების შესახებ წარმოდგენა შეითვისა ელინისტურმა და რომის იმპერიებმა (ელინისტურს იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, „ბასილევსისა“ და „ტირანის“ „მოდელები“ განსხვავდებოდა, როგორც ერთმანეთის, ისე, მოგვიანებით აღმოცენებული მონარქის „ელინისტური მოდელისაგან“).

ელინიზმის ეპოქიდან საქმე გვაქვს მმართველის არა უბრალოდ გმირად წარმოჩენას, ან საკრალიზაციას, არამედ გაღმერთებასთან. ამ პერიოდში მეფეთა გაღმერთებას, თავდაპირველად პიროვნულ-ქარიზმატული ხასიათი ჰქონდა, თუმცა, თანდათან, შეიძინა სტატუსის გაღმერთების სახე (Свенцицкая, 2005, გვ. 236).

რომის იმპერიაშიც საკრალიზებული იყო მეფის ფიგურა. რომის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ იწყება ახალი ეპოქა, როცა, არა ცალკეული მმართველს მიიჩნევენ ღმერთად, არამედ თავად იმპერატორის (მოგვიანებით, სამეფო) ხელისუფლებას.

მეფობა ღვთისაგან კურთხეულია ბიბლიური ტრადიციითაც. თუმცა, ზემოაღნიშნულის ფონზე, ის გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. ძველსა და ახალ აღთქმაში მნიშვნელოვანია უწყება ღვთის მეუფების შესახებ. საღვთო წერილში ამქვეყნიური მეფობის თემა, ისრაელიანთა გამოცდილებიდან გამომდინარე, ვითარდება და საბოლოო ჯამში, ის იესო ქრისტეს მეუფების განსაზღვრას ემსახურება

(Леон-Дюфура და სხვ., 1974, გვ. 1224; Труды и издание Архимандрита Никифора, 1990, გვ. 776).

ადრექრისტიანულ დოკუმენტებში გადმოცემულია სამეფო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება, რომელიც შემდეგ საეკლესიო მოღვაწეთა ნაწერებსა თუ საეკლესიო კრებათა დადგენილებებით გამყარდა და დამკვიდრდა ქრისტიანულ მსოფლმხედველობრივ სისტემაში. ამ დამოკიდებულების თანახმად, მეფე, იმპერატორი მიიჩნეოდა ადამიანად, რომელსაც ღვთისაგან ებოძა ხელისუფლება და რომლისადმი მორჩილება არ ნიშნავდა მის ღმერთად აღიარებას (იუსტინე ფილოსოფოსი, თეოფილე ანტიოქიელი, პაპი კლიმენტი რომაელი, ტერტულიანე (მართალია, იგი არ მიეკუთვნება ეკლესიის მამებს, მაგრამ მის ნაშრომებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკლესიის ისტორიისათვის) (იუსტინე ასევე აღნიშნავს, რომ *„ცუდი მმართველობისათვის მეფეებს ელოდებათ საშინელი სასჯელი – მუდმივი ცეცხლი ჯოჯოხეთში“*(ჯავახია, 2005, გვ. 51, 52, 53; Аверинцев, 1977, გვ. 116).

IV საუკუნიდან კონსტანტინე დიდის მმართველობის, ანუ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პერიოდიდან ჩამოყალიბდა სამეფო ხელისუფლების ღვთისაგან რჩეულობის თეორია. ბიზანტიაში წარმოიშვა იმპერატორის ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ერთიანი ქრისტიანული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ბიზანტიის პოლიტიკურ დოქტრინას. ამ კონცეფციის თანახმად, ღმერთი (პანტოკრატორი) იყო ყოველი არსებული წესრიგის, როგორც ზეციერის, ასევე მიწიერის შემოქმედი და თავი, იმპერატორი კი, ზეციური წესრიგის შესაბამისად, მიწიერი წესრიგის დამამყარებელი. ეს იყო დიარხიის პრინციპი, ანუ საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთიანობის იდეა. (ჯავახია, 2005, 55, Rebenich al, 2017, p. 26).

შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული კონცეფციის თანახმად, მიუხედავად უფლისაგან ბოძებული შეუზღუდავი უფლებებისა, იმპერატორი როგორც ადამიანი ისეთივე მონა იყო ღვთისა, როგორც ყველა მოკვდავი (Аверинцев, 1977, გვ. 116). მისთვის ცხადი იყო ამქვეყნიური ძალაუფლების არარაობა, და პირადი პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე მონიჭებული უფლებებისათვის (ჯავახია, 2005, გვ. 56). ამდენად, ქრისტიანული სწავლებით, კურთხეულია მეფობა, როგორც ინსტიტუცია და არა რომელიმე კონკრეტული ადამიანი (მეფე); მეფის ტიტული გულისხმობს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ღვთის წინაშე. მოგვიანებით, ბიზანტიაში „გაუკუღმართდა ეს სწავლება“. ბიზანტიის იმპე-

რატორი მიიჩნიეს ამქვეყნიურ ღმერთად, საკრალურ ფიგურად (Аверинцев, 1977, გვ. 116; Каждан, 1968, გვ.103, Литаврин და სხვ., 1989, გვ. 29). ბიზანტიელთა წარმოდგენით, კორონაცია იმპერატორს ავტომატურად განწმენდდა ყოველგვარი, მათ შორის მომაკვდინებელი ცოდვის, მკვლელობისაგან. სიწმინდეებად მიიჩნეოდა ვასილევსის სასახლე, ტანისამოსი.

საინტერესოა, როგორია ვითარება ამ თვალსაზრისით საქართველოში?

მეფის ხელისუფლება ღვთისაგან დადგენილად რომ მიიჩნეოდა ქართულ სინამდვილეშიც, ეს არაერთხელაა ხაზგასმული როგორც ჰაგიოგრაფიულ, ასევე საერო ხასიათის ლიტერატურულ ძეგლებსა და, რა თქმა უნდა, ისტორიული ჟანრის მწერლობაში (ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის და სხვა ისტორიები „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა „ცხოვრებანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა) ხელმწიფის ღვთისაგან კურთხეულობის იდეა, აისახა თამარ მეფის ისტორიებშიც.

სხვა ქრისტიან და, მათ შორის, ქართველ მეფეთა მსგავსად თამარიც ღვთისგან ხელდასხმულად მიიჩნევს თავს. *„რწმუნებულ არს ჩემდა პირველ ღმრთისაგან და შემდგომად მშობელთა ჩემგან“* (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 47); სიკვდილის წინ კი უკანასკნელ მიმართვაში *„წარჩინებულთა სამეფოსა თჳსისათა“ თამარი ამბობს, – „განგებითა ღმრთისათა ვიყავ თქუენ ზედა“* (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 145).

ზემოაღნიშნულ კონტექსტში ყურადღებას შევაჩერებთ „ისტორიანი და აზმანის“ ორ მონაკვეთზე.

„ლუკა აღმავლობასა სიტყუ“სასა იქმს, „სეითის, ადამისა და ღმრთისა“, მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ჴელმწიფეთა შორის, რომლისა სახე და სახელი თჳსსა ადგილსა სიტყუამან საცნაურ ჰყოს“ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 3); *„თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამთაგანი, აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული...“* (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 25).

თამარისადმი მსგავს გამონათქვამებსა თუ მიმართვებს არცთუ იშვიათად ვხვდებით ისტორიკოსებთან (ასევე, მეხოტბეებთან, მაგრამ, ეს, ვრცელი საუბრის თემაა და ამიტომ, მხოლოდ თამარ მეფის ისტორიებით შემოვიფარგლეთ). თუმცა მოხმობილი ფრაზები იმ კუ-

თხითაა უფრო მნიშვნელოვანი, რომ ძირითადად, მათზე დაყრდნობით გავრცელდა ქართულ მეცნიერებაში მოსაზრება, თამარ მეფის გაღმერთების, ქრისტიანული სამების მეოთხე წევრად გამოცხადების შესახებ. ამ საკითხს არაერთი მეცნიერი შეეხო. მათი უმეტესობა თამარის ღვთაებად, „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ გამოცხადებას უცილობელ ფაქტად მიიჩნევს, ზოგიერთი მკვლევარი კი, არ იზიარებს ამ შეხედულებას.

მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ თამარის გაღმერთების საფუძველი სახელმწიფოებრივი, მეფის მომხრეთა იდეოლოგია, ან სულაც ქართული მესიანისტური იდეის არსებობაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის და ხელმწიფის ძლიერების აღმატებულად წარმოჩენას ისახავდა მიზნად. სხვათა მოსაზრებით, თამარის „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ დასახვა ადამიანის განღმრთობის (თეოზისის) ზოგადი იდეით შეიძლება აიხსნას. ერთ-ერთი თვალსაზრისის თანახმად, თამარი სულიწმიდის ინკარნაციად მიიჩნევა. ასევე გამოთქმულია შეხედულებები, რომელთა მიხედვით, ერთი მხრივ, თამართან, როგორც დიდ ქრისტიანთან სულიწმიდა სუფევს, მეორე მხრივ კი, იგი (თამარი), როგორც ბაგრატიონი მეფე, შთამომავლობით მაცხოვრის მონათესავე გვარის წარმომადგენელი, „ღვთის სწორი“ უფლისაგან საქართველოს მფარველად მოგვევლინა.

რამდენიმე მეცნიერის მსგავსად ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თამარ მეფე მისმა პირველმა მემატიანემ „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“, „ბუნებით ღმერთად“ გამოაცხადა. ამ საკითხებზე საუბრისას, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე ასპექტი: 1. ისტორიკოსთა, განსაკუთრებით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის (ისევე როგორც ზოგადად სხვა ქართველ მემატიანეთა, მაგ., ჯუანშერის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის) ღრმა თეოლოგიური, ასევე სახისმეტყველებითი ცოდნა; 2. აგრეთვე საგულისხმოა, რომ ისტორიკოსთა თხზულებებში, გარკვეულ შემთხვევებში, სიტყვები ბევრად მეტს გამოხატავს, ვიდრე მათი ლექსიკური მნიშვნელობა გულისხმობს. ისინი ტერმინები უფროა, რადგან მსოფლმხედველობრივ წვდომას უკავშირდება. ვფიქრობთ, აღნიშნულის საფუძველზე უნდა გავიაზროთ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსისა მოხმობილი ფრაზები, თამარი „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 3), „სამებისა თანა ოთხებად იხილვების..., მისწორებული და აღმატებული“ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 25).

„თანააღზევება“ ძველ ქართულ ენაში ვნებითი გვარის მიმღეობაა და მდგომარეობით ამაღლებულს ნიშნავს (ჩიქობავა, 1950, გვ. 754). ამ სიტყვის პირველი ნაწილი თან(ა), საზოგადოდ, რთული ფუძეების პირველი ნაწილია და აღნიშნავს ვინმესთან ან რამესთან ყოფნას (მისდამი ყოფნას (იოან. 1. 4) (ჩიქობავა, 1986, გვ. 237; ორბელიანი, 1991, გვ. 299), „–გან“ („სამებისაგან“) თანდებულია, მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას და წინამავალ სახელთან ერთად პასუხობს კითხვას ვისგან? რისგან? (ჩიქობავა, 1950, გვ. 954). აქედან გამომდინარე, ფრაზა თამარი „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“ სიტყვასიტყვით ასე შეიძლება გავიგოთ, თამარი სამების მიერ მისდამი „ოთხად“ არის მდგომარეობით ამაღლებული.

რაც შეეხება „ისტორიანი და აზმანის“ მეორე ამონარიდს: „სამებისა თანა ოთხებად იხილვების (თამარ) მისწორებული და აღმატებული“. „მისწორებული“ მსგავსებას, მიმსგავსებას ნიშნავს (აბულაძე, 1973, გვ. 250, 408). „აღმატებული“ კი, „ამაღლებულს“ (აბულაძე, 1973, გვ. 408). ამ შემთხვევაშიც საუბარია იმაზე, რომ თამარი სამებასთან „ოთხებად“ იხილვება, (მასთან) მიმსგავსებული და ამაღლებული.

ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, „მსგავსება“ და „ხატება“, ის, თვისებებია, რომელნიც ღმერთმა ადამიანს პირველშესაქმეშივე მიჰმადლა. „შესაქმის“ წიგნი გადმოგვცემს, „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ“ (დაბ. 1. 26) (სარჯველაძე, 1981, გვ. 49).

> ადამიანი დასაბამშივე ღვთის (ყოვლადწმინდა სამების) ბუნებისადმი ხატქმნილი იყო და არა მხოლოდ თავისუფალი ნებით, მოაზროვნეობით, მეუფებრივობით (რაც ხატებრივ თვისებად მიიჩნევა), არამედ სათნოებითი ღირსებებითაც: სიკეთით, სამართლიანობით, სიწმინდით, სიმდაბლით, უხრწნელობით (რაც მსგავსებისეულ თვისებებს წარმოადგენს). ეს ყოველივე ადამიანს ანიჭებდა მადლმოსილებას, ნეტარებას, დიდებულებას და მას, უცოდველს, წარმოაჩენდა მამისეულ მხარეში დამკვიდრებულ საყვარელ ძედ, ღვთის ძეობილად, რომელიც თავის თავში გამომხატველი იყო ძე ღმერთის ბუნებითი ძეობისა (იოანე ოქროპირი) (ჭელიძე, 2001, გვ. 94).

ცოდვით დაცემის შემდეგ „ხატება“ წარუხოცელად დარ-ჩა ადამიანში, ხოლო მსგავსებისებრობა (ძეობილობა) სრულყოფილების შესაბამისად მოსაპოვებელი გახდა. ძე ღმერთის განკაცებამ ადამიანებს

კვლავ გაუხსნა გზა იმ თავდაპირველი მსგავსებისაკენ (ჭელიძე, 2001, გვ. 107), *ძეობილობისაკენ, რაც უცოდველ ადამიანს ჰქონდა თავის პირველქმნილებაში და რაც ცოდვამ გააუკუღმართა* (იოანე დამასკელი) (ჭელიძე, 2001, გვ. 107).

> მსგავსების მოპოვების აუცილებლობაზე ყველა ღვთისმეტყველი აწმყო დროში საუბრობს, რაც კაცობრიობის დაცემულ ცოდვის შემდგომ პერიოდს გულისხმობს. ხატისებრობის თვისებები: თავისუფალი ნება, მოაზროვნეობა ადამიანში ცოდვის შემდგომ მდგომარეობაშიც შენარჩუნებულია, რაც განწმენდადი და აღდგინებადია ნათლისღების მადლით. სათნოებებში სრულყოფა კი საღვთო ნათლისღებასთან ერთად აუცილებელი პირადი ძალისხმევით მოიპოვება, რაც არის სწორედ მსგავსებისებრობა (წმ. დიადიქოს ფოტიკელი) (ჭელიძე, 2001, გვ. 111).

უპირველესად, წმინდანნი არიან ის ადამიანები, რომელნიც მთლიანად შეუდგებიან და შეემეცნებიან ღმერთს, თავიანთი ცხოვრების წესის, სათნოებებში სრულყოფის კვალობაზე უფალი „აძლევს მათ შვილად გახდომის უფლებამოსილებას“ (იოან. 1. 12). *ისინი აღარ არიან მონები – არამედ ძეები, ხოლო თუ ძეები არიან, არიან მემკვიდრეები ღვთისა* (გალატ. 4. 7; რომ. 8. 17). (დამასკელი, 2000, გვ. 184).

> არსებობს თვისებრივად ორი ძეობა: 1) ბუნებითი, არსობრივი, შეუქმნელი და დაუსაბამო ძეობა, რაც აქვს მეორე ჰიპოსტასს მამაღმერთისადმი და 2) მადლისმიერი, შექმნილობითი ძეობა ღვთისადმი, რაც ადამიანის თვისებაა.
> პირველ შემთხვევაში, ბუნებითი ძეობა სწორედ პირდაპირი გაგებით ითქმის, მეორე შემთხვევაში კი ადამიანი „შვილებულია“, „ძედდადებულია“, „ძეობილია“, მადლისმიერი ძეა („ძეობილია“, ეს ტერმინი ეკუთვნის არსენ იყალთოელს) ანუ თავდაპირველად ადამიანი შეიქმნა ძეობილად, მადლისმიერ ძედ ღვთისა. ძეობილობის პატივი მან გააუკუღმართა მცნების დარღვევით. მაცხოვარმა თავისი განკაცებით კვლავ აღადგინა ადამიანი თავდაპირველი ძეობილობის პატივში (ჭელიძე, 2001, გვ. 67, 68). ძეობილობა მწვერვალია ღვთისადმი მსგავსებისა (ჭელიძე, 2001, გვ. 118).

აღნიშნულ კონტექსტში უნდა გავიზაროთ თამარ მეფის სახეც. მისი: სიკეთის, სამართლიანობის, სიმდაბლის, გულმოწყალების, ლმობიერების და სხვა საღვთო თვისებების, სათნოებების შესახებ ბევრს წერენ ისტორიკოსები (თამარ მეფის პირველი მატიანეს უცნობი ავტორი, ბასილი ეზოსმოძღვარი, ლაშა-გიორგის დროინდელი ისტორიკოსი). თამარი განმასახიერებელია ორი უმაღლესი მდგომარეობის, მეფობის და წმინდანობის. ღირსეულად მმართველობით მან განახორციელა მეფობის ბიბლიური იდეალი (იყო სამართლიანი და ბრძენი მეფე. ესაა, მეფობის ბიბლიური იდეალი!). მისი წმინდანობის საფუძვლადაც სწორედ გამორჩეული მეფობა და ცხოვრების წესი იქცა. ამდენად, როგორც მეფე-წმინდანი თამარი „შეერთებულია“ ღმერთს, მადლით განღმრთობილია.

„ოთხება“ უნდა მიემართებოდეს ზოგადად წმინდანებს (მათ შორის თამარს, მეფე-წმინდანს). „ოთხება“ შეიძლება დავუკავშიროთ მართალი ლაზარეს სახეს, რომელიც ოთხი დღის მკვდარი მაცხოვარმა მკვდრეთით აღადგინა ბეთანიაში. „ოთხი დღის ადამიანის“ (Аверинцев, 2006, გვ. 275), ლაზარეს მკვდრეთით აღდგენა მოასწავებდა იესო ქრისტეს ჯვარცმასა და აღდგომასა მაცხოვრის აღდგომასთანაა დაკავშირებული ჯოჯოხეთიდან მართალთა სულების ამოყვანა. „მას შემდეგ, რაც ქრისტემ ჯოჯოხეთი „მოიალაფა“, მორწმუნეებს კვლავ მიეცათ სული ძეობილობისა, – ამბობს წმ. კირილე ალექსანდრიელი (ჭელიძე, 2001, გვ. 87). ეს გულისხმობს იმას, რომ ადამიანები, რომელნიც თავიანთი ღვთივსათნო ცხოვრებით მიემსგავსებიან შემოქმედს, საღვთო წიაღში დაივანებენ (აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ უცნობი მემატიანის თხზულების ბოლოს დართულ იამბიკოში თამარი სახელდებულია ,,ლაზარედ“). (ამ თვალსაზრისით, ედიშერ ჭელიძისა და ჩვენი პოზიციები თანხვდება, თუმცა, ცოტა განსხვავებული მსჯელობითა და არგუმენტებით მივდივართ საერთო პოზიციამდე, ჭელიძე, 2011, http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=432%3A-q-q-&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka).

საყურადღებოა, ის ფაქტორიც, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი უკვე არაერთხელ მოხმობილ ფრაზებში, თამარის შესახებ საუბრისას იყენებს რაოდენობით რიცხვით სახელს „ოთხებად“, „ოთხად“ (ვითარებითი ბრუნვის ფორმა (სარჯველაძე, 1997, გვ. 55) და არა რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმას „მეოთხედ“.

ჩვენი აზრით, უცნობი მემატიანის სიტყვები, თამარი „ღმრთისაგან ღმერთქმნილია“ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 63-64), „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, „სამებისა თანა იხილვების ოთხებად... მისწორებული და აღმატებული“, ზემოთქმულის კვალობაზე უნდა გავიაზროთ, რაც ნიშნავს, რომ თამარი ბუნებით ღმერთად, „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ არ არის დასახული. აქ საუბარია იმაზე, რომ თამარ მეფე სამების მიერ მისდამი მდგომარეობით (ანუ ღირსეული მეფობით და შესაბამისად, წმინდანობით) ამაღლებულია „ოთხად“ როგორც წმინდანი; სწორედ წმინდანობის გამო იხილვება იგი „ოთხებად“ (სამებასთან) მიმსგავსებული და ამაღლებული.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მიუხედავად საერთო რელიგიურ-კულტურული არეალისა, ბიზანტიისაგან განსხვავებული სიტუაცია იყო. ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, მეფეს აქაც ღვთისაგან ხელდასხმულად მიიჩნევდნენ, მაგრამ ის არ გაუღმერთებიათ. ჩანს, ქართულ რეალობაში კარგად ყოფილა გააზრებული ქრისტიანული სწავლება, – „ბუნებით ღმერთობისა“ და „მადლით ღმერთობის“ შესახებ. ვფიქრობთ, ამას მოწმობს თამარ მეფის მატიანეების მოხმობილი და გაანალიზებული ამონარიდებიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: „მეცნიერება“.

იოანე დამასკელი (2000). მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემა. ბერძნულიდან თარგმნა, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ. თბილისი: „თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა“.

ორბელიანი ს.-ს. (1991). ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბილისი: „მერანი“.

სარჯველაძე ზ. (1981). (რედაქტორი). მცხეთური ხელნაწერი. თბილისი: „მეცნიერება“.

სარჯველაძე ზ. (1997). ქართული ენა. თბილისი: „თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ყაუხჩიშვილი ს. (1959). (რედაქტორი). ქართლის ცხოვრება, ტ. II. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ჩიქობავა ა. (1950). (რედაქტორი). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. I. თბილისი.

ჩიქობავა ა. (1986). (რედაქტორი). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბილისი.

ჭელიძე ე. (2001). მართლმადიდებლური ხატმეტყველება (საღვთისმეტყველი საფუძვლები). თბილისი.

ჭელიძე ე. (2011). წმ. თამარ მეფის ე.წ. მეოთხე ჰიპოსტასობისა და „ბუნებით ღმერთობის“ შესახებ. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=432%3A-q-q-&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka.

ჯავახია ბ. (2005). ანტიკურობიდან შუა საუკუნეებამდე (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო). თბილისი: „უნივერსალი“.

Аверинцев, С. (1977). Поэтика ранневизантийской литературы. Москва: “наука”.

Аверинцев, С. (2006). София-Логос (Словарь). Дуч я литера.

Кайдан А. П. (1968). Византийская культура (X-XII вв.), «наука».

Леон-Диуфуа, К. Киупласи, Ж. Джордж, А. Грело, П. Гийе, Ж. Лакан, М.Ф. (редакторы). (1974). Словар Библейского Богасливья.

Литаврин, Г. Г. Удальцова, З. В. (редакторы). (1989). Византийская Империя во второй пол. XI-XII вв. Культура Византии. Вторая пол. XI-XII вв. «Наука».

Свеницкая, И. (2005). Сакрализация Власти в истории цивилизации (часть II). Культ Императора в Римской Державе: от личного обогащения к формальному культу носителя власти. https://vk.com/wall-52136985_1748.

Труды и издание архимандрита Никифора (1991). Библейская энциклопедия. «Терра».

Ребенич, С. Вьенанд, Дж. (2017). Monarchishe Herrshaft im Altertum und Perspectiven Morarchishe Herrshaft im Altertum. Herausgegeben von Stefan Rebenich unter Mitarbeiter von Johanes Wienandю «Де Гритер Ольденбург».

Энциклопедия символов и знаков (2007-2023). https://sigils.ru/symbols/zar.html

References:

Abuladze, I. (1973). Dzveli Kartuli Enis Leksik'oni. [Dictionary of the old Georgian language]. Tbilisi: “Metsniereba”.

Averintsev, S. (1977). Poetika rannevizantiiskoi Literaturi. [Poetry of early Byzantine literature] Moskva. “Nauka”.

Averintsev, S. (2006). Sofia-Logos (Slovar). [Sofia-Logos (Dictionary)]. Duch I Litera.

Ch'elidze, E. (2001). Martlmadidebluri Khat'met'q'veleba (saghvtismet'q'velo sapudzvlebi). [True Glorious Allegory (Theological Foundations)].

Ch'elidze, E. (2011). Tw'm. Tamar Mepis e.tw'. meotkhe hop'ost'asobisa da “bunebit ghmertobis” shesakheb. [S. p. Thamar rex sic dictus Quartae hypostasis et Deus per naturam]. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=432%3A-q-q-&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka.

Chikobava, A. (1950) (editor). Kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. T'. I [Explanatory dictionary of the Georgian language. Vol. I].

Chikobava, A. (1986) (editor). Kartuli Enis ganmart'ebiti Leksik'oni. Ertt'omeuli [Explanatory dictionary of the Georgian language. single volume].

Enciklopedia Simboli I Znaki (2007-2023) [Encyclopedia of Symbols and Signs]. https://sigils.ru/symbols/zar.html

Ioane Damask'eli (2000). Martlmadidebluri sarts'munoebis zedmits'evniti gardamotsema. [Thorough conversion of orthodox beliefs]. Berdznulidan targmna, k'oment'arebi da shenishvnebi daurto E. Ch'elidzem. Tbilisi: „tbilisis sasuliero ak'ademiis gamomtsemloba".

Javakhia, B. (2005). Antikurobidan shua sauk'uneebamde (Dasavlet Evrop'a, Bizant'ia, Sakartvelo). [From Antiquity to the Middle Ages (Western Europe, Byzantium, Georgia)]. Tbilisi: "Universali".

Kajdan, A. P. (1968).Vizantiiskaia kultura (X-XII вв.) [Byzantine culture (X-XII centuries)], "Hauka".

Kaukhchishvili, S. (1959). (editor). Kartlis Tskovreba. T. II. [Kartli's life. Vol.II]. Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".

Leon-Diufua, K. Kiuplasi, J. Jorj, A. Grelo, P. Giie, J. Lakan, M-F (editors). (1974). Slovar Bibleiskogo Bogjslivja. [Dictionary of Biblical Theology].

Litavrin, G. G. Udalcova, Z. V. (editors). (1989). Vizantiiskaja Imperia vo vtoroi pol. XI-XII vv. Kultura Vizantii. Vtoraia pol. XI-XII vv. [Byzantine Empire in the second half. XI-XII centuries Culture of Byzantium. Second floor XI-XII centuries The science]. "Nauka".

Orbeliani, S-S. (1991). Leksik'oni Kartuli. T. I. [Georgian dictionary. Vol. I]. Tbilisi: "Merani".

Rebenich, S. Vienand, J. (2017). Monarchishe Herrshft im Altertum und Perspektiven Morarchishe Herrshaft im Altertum. Herausgegeben von Stefan Rebenich unter Mitarbeiter von Johanes Wienand [Monarchical rule in antiquity. Approaches and perspectives Monarchical rule in antiquity]. "De Gryter Oldenbourg".

Sarjveladze, Z. (1981). (editor). Mtskheturi Khelnattw'eri. [Mtskheturi manuscript]. Tbilisi: "Metsniereba".

Sarjveladze, Z. (1997). Kartuli Ena [Georgian language]. Tbilisi: "Tbilisis sakhelmtw'ipo p'edagogiuri Universitetis Gamomtsemloba".

Svenickaia, I. (2005). Sakralizacia Vlasti v istorii civilizacii (chast II). Kult Imperatora v Rimskoi Derjave: ot personalnogo obojestvlenia k formalnomu kultu nositelja vlasti. [Sacralization of power in the history of civilizations, (Part II) "The cult of the emperor in the Roman Empire: from personal deification to the formal cult of the bearer of power]. https://vk.com/wall-52136985_1748.

Trudi I izdanie Archimandrita Nikifora (1991). Bibleiskaja Enciklopedia. [Bible Encyclopedia]. "Terra".